

მართლმადიდებლობა და „ჰამლეტი“

Orthodoxy and *Hamlet*

შექსპირის „ჰამლეტში“ არეკლილ პროტესტანტულ და რომაულ-კათოლიკურ ტენდენციებზე მრავალი დაწერილა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ თითქმის არაფერი თქმულა ამ პიესაში მართლმადიდებლური ქრისტიანული ტენდენციების შესაძლო არსებობაზე, რაც სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან, რაკი შექსპირი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი და არც ჰქონია მართლმადიდებლობასთან უშუალო შეხება, ცხადია, იმთავითვე ჩაითვალა, რომ ალოგიკური იქნებოდა მის შემოქმედებაში გვედია მართლმადიდებლური ხედვის ანარეკლები. გარდა ამისა, მსოფლიო მასშტაბით, შექსპირის მკვლევართა უმრავლესობა არამართლმადიდებელია და შესაბამისად, ამ გარემოებამაც შეამცირა ალბათობა, ვინმე დაინტერესებულიყო მისი შემოქმედების მიმართებით მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან. იმ შემთხვევებში, როცა შექსპირთან კავშირში ნახსენებია სიტყვა „ორთოდოქსული“, მასში ძირითადად იგულისხმება *ტრადიციული*, ან *საყოველთაოდ მიღებული*, და არა *მართლმადიდებლური*, ხოლო როცა ნახსენებია „ორთოდოქსული ქრისტიანობა“, მეტწილად იგულისხმება რომაული კათოლიციზმი, რომელიც პროტესტანტიზმთან შედარებით უფრო ძველია და ტრადიციებს ნაკლებად დაშორებული.¹ იმ უიშვიათეს შემთხვევებში კი, როდესაც შექსპირთან მიმართებაში ნაგულისხმევია სწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანობა, მკვლევარი ძირითადად ახერხებს წარმოაჩინოს მხოლოდ ისეთი მართლმადიდებლური მახასიათებლები, რომელთა ქონაზეც შეუძლია პრეტენზია განაცხადოს რომაულ კათოლიციზმსაც ან/და პროტესტანტიზმსაც.² ამგვარი მიდგომით, ცხადია, ვერ გამოიკვეთება რეალური კავშირი შექსპირის ტექსტსა და მართლმადიდებლობას შორის. აქედან გამომდინარე, ამ სტატიის მიზანია მიაკვლიოს შექსპირის „ჰამლეტში“ ისეთ მართლმადიდებლურ მახასიათებლებს, რომლებიც შეუსაბამოა როგორც რომაულ-კათოლიკურ ხედვასთან, ისე პროტესტანტულთან, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ საკუთრივ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების ანარეკლებზე „ჰამლეტში“.

¹ იხ., მაგ., გილბერტ ჩესტერტონის (2012, გვ. 53-58) სტატია *The Orthodoxy of Hamlet*.

² იხ., მაგ., ვლადიმირ მოსის (2016, გვ. 255-265) სტატია *Shakespeare and Orthodox Christianity*.

პირველყოფლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროტესტანტულ ინგლისში, თუმცა ვიცით, რომ რამდენიმე ათწლეულით ადრე მისი სამშობლო რომაული კათოლიციზმის მიმდევარი იყო. აქედან გამომდინარე, ინგლისელ ერში ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დასრულებული კათოლიციზმიდან პროტესტანტიზმზე გადასვლის რთული პროცესი. ცხადია, სწორედ ამ ისტორიულ-რელიგიური კონტექსტის პირდაპირი გამოძახილია „ჰამლეტში“ წარმოდგენილი პროტესტანტულ-კათოლიკური ორაზროვნებაც, რაც თავის მხრივ, ეხმიანება პიესაში ასახულ სხვა სახის ორაზროვნებებს და ზოგადად ამ ტრაგედიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას: ორაზროვნება და გაურკვეველობა ადამიანის ამქვეყნიურ ყოფიერებაში. ბუნებრივია, შექსპირზე ყველაზე დიდი გავლენა იმ ეპოქას ექნებოდა, რომლის შვილიც თავად იყო, მაგრამ როცა მის შემოქმედებას ვაკავშირებთ მართლმადიდებლობასთან, ალბათ არ უნდა უგულებელვყოთ ინგლისის უფრო ადრეული რელიგიური წარსულიც, კერძოდ კი ის, რომ შექსპირის ეპოქამდე დაახლოებით ხუთი საუკუნით ადრე ინგლისელი ერი მართლმადიდებელი იყო. მართლმადიდებელი ინგლისელი ერის ისტორია მოიცავს პერიოდს ანგლო-საქსების გაქრისტიანებიდან კათოლიკე ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობამდე, რაც ოთხ-ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტია. ნორმანებმა ინგლისის ეკლესია რომის პაპს დაუქვემდებარეს. კათოლიკური ინგლისის ისტორიაც ასევე ოთხ-ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტს ითვლის, ვიდრე მას ჩაანაცვლებს პროტესტანტული ეკლესია. ამრიგად, ჩვენ წინაშე თითქოს უნდა წარდგეს პროტესტანტი შექსპირი, აშკარა კათოლიკური გავლენით, მაგრამ ამავდროულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესაძლო შორეული მართლმადიდებლური სულიერი გენეტიკითაც. რამდენად შესაძლებელია ამგვარი მოლოდინი გამართლდეს, ამაზე ერთგვარად გვპასუხობს მისი „ჰამლეტი“.

პიესაში დასაწყისშივე შემოდის რელიგიური ორაზროვნების მოტივი. შუალამეს ჯარისკაცი ფრანცისკო ელსინორის ციხესიმაგრის საგუმბაგოზე დარაჯად დგას და მას ცვლის ბერნარდო. ღამის თორმეტმა დაჰკრა, როგორც ბერნარდო შენიშნავს, და წინა დღე ახალმა შეცვალა. ფრანცისკოს დარაჯობისას საინტერესო არაფერი მომხდარა, მაგრამ ბერნარდო სიახლის მოლოდინშია, ვინაიდან წინა ღამის პირველ საათზე მას და მარცელუსს გარდაცვლილი მეფის აჩრდილი გამოეცხადა. ბერნარდოს მარცელუსთან ერთად შეუერთდება ჰორაციო, ვიტენბერგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც, როგორც პროტესტანტი ლუთერანი, სკეპტიკურად უყურებს სულებისა და აჩრდილების გამოცხადების რეალურობას. მაგრამ ღამის პირველი საათი არ არის შესრულებული, რომ აჩრდილი ეცხადება მათ, და ჰორაციოს პროტესტანტულ რწმენას ეჭვქვეშ აყენებს. შემდეგ ღამეს კი ჰორაციო და მარცელუსი უკვე უფლისწულ ჰამლეტთან ერთად უდარაჯებენ აჩრდილის გამოჩენას. აჩრდილიც არ აყოვნებს გამოცხადებას და ჰამლეტს მომორებით გაიწვევს სასაუბროდ. ჰამლეტთან საუბარში აჩრდილი აცხადებს, რომ იგი უფლისწულის მამის, გარდაცვლილი მეფის სულია, განსაწმენდელიდან ამოსული, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ ეწინააღმდეგება პროტესტანტულ ხედვას და

მიახლოებით ეთანხმება რომაული კათოლიციზმის შემოღებულ სწავლებას ე.წ. სალხინებლის ანუ განსაწმენდელის შესახებ. აჩრდილთან საუბრის შემდეგ ჰამლეტი გაცეხულ ჰორაციოს მიმართავს: „იმაზე მეტი რამ არის ზევად და ქვეყნად, ჰორაციო, ვიდრე შენს ფილოსოფიაშია წარმოდგენილი“³ (Shakespeare, 2019, გვ. 119). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს სიტყვები მოასწავებს ჰამლეტისა და ჰორაციოს მსოფლმხედველობის ცვლილებას: ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროტესტანტი სტუდენტების ხედვა ამიერიდან თითქოს იხრება რომაული კათოლიკური ხედვისკენ.

მაგრამ სად შეიძლება „ჰამლეტში“ ყველაზე ადრე შევნიშნოთ მართლმადიდებლურ ხედვასთან კავშირი? უნდა ითქვას, რომ ორაზროვნებასთან ერთად და მისგან გამომდინარეც, პიესაში თავიდანვე შემოდის ჭეშმარიტების ძიების სულისკვეთებაც. ჰამლეტისთვის და მისი მეგობრებისთვის ერთობ საჭირბოროტო ხდება აჩრდილის ფენომენის სწორი და მართებული ახსნა. ისმის კითხვები: ვინ და რა არის აჩრდილი? საიდან და რისთვის ეცხადება მათ? ჰამლეტი ბრმად არ იჯერებს აჩრდილის სიტყვებს, არც საკუთარ ან სხვის ფანტაზიებსა და ინტერპრეტაციებს ენდობა. მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაარკვიოს სიმართლე, ყოველგვარი სუბიექტურობისგან თავისუფალი. მხოლოდ სიმართლეა მისთვის მთავარი, რადგან თუ პირად წარმოდგენებს აყვება, იცის, რომ აუცილებლად შეცდება და უსამართლობას ჩაიდენს. ამიტომაც, ჰამლეტი ობიექტურ სიმართლეს ეძებს, რომელიც ერთადერთია, და უარყოფს ადამიანურ წარმოსახვას, რომელიც უსასრულოდ მრავალგვარია და რომელიც საფუძველს უდებს სიმართლის არასწორ ინტერპრეტაციებს. სწორედ ნამდვილი სიმართლის მიკვლევას, იმ ერთადერთი ჭეშმარიტების მიგნებას სჭირდება ხანგრძლივი და ფრთხილი ძიება, თორემ წარმოსახვა ყოველგვარი ძიების გარეშეც ხშირად ეწვევა ხოლმე ადამიანს.

ჰამლეტის შემოქმედებითი კონცეფცია არსებითად ორთოდოქსულია, ორიენტირებულია სიმართლის სწორად ასახვაზე, ობიექტური ჭეშმარიტების მართებულად წარმოჩენაზე, ყოველგვარი დამახინჯებისა და სინამდვილისაგან გადახრის გარეშე. მისი ხელმძღვანელობით დადგმულ პიესას ხომ სიმართლის დადგენის ფუნქცია აკისრია: გაარკვიოს, კლავდიუსია მკვლელი, თუ აჩრდილია დემონი. ის მსახიობებს მოუწოდებს სცენაზე გონივრული ზომიერების დაცვისკენ, რათა თეატრი ბუნების სარკედ იქცეს და ყოველივე წარმოადგინოს ისე, როგორც სინამდვილეშია. ორთოდოქსული დრამატული კონცეფციიდან განდგომილ მსახიობებს, რომლებიც ზომიერებას არ იჩენენ სცენაზე, ჰამლეტი მეტად კიცხავს, და მათი საცოდავი პატივმოყვარეობის მტკიცებულებად მიიჩნევს მათგან სასცენო როლის ასე არაადეკვატურად შესრულებას. მართლმადიდებლური სწავლებითაც, ჭეშმარიტებისგან განდგომის, მწვალებლობის, ერეტიკული სწავლების წარმოშობის უმთავრესი მიზეზი ამპარტავნება და პატივმოყვარეობაა.

³ თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს – ი. პ.

ჰამლეტისთვის სიმართლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აჩრდილის პროტესტანტულად უარყოფა, ან მისი კათოლიკურად მიღება. ჰამლეტი არც კლავდიუსის პოზიციას იზიარებს და არც აჩრდილისას იღებს პირდაპირ, არამედ იკვლევს სიმართლეს, რადგან მისთვის მთავარია, რა მოხდა სინამდვილეში. ამგვარი პოზიცია, ცხადია, უფრო მართლმადიდებლურს წააგავს, ვინაიდან მართლმადიდებლობისთვის სწორედ ობიექტური რეალობაა მთავარი, ანუ სუბიექტური წარმოსახვისგან უცვლელი ჭეშმარიტებაა მხოლოდ მისაღები. ჰამლეტისთვის სიკვდილის წინაც უაღრესად მნიშვნელოვანია სიმართლის გამოაშკარავება, სრული სიზუსტით გაცხადება იმისა, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ამიტომაც, იგი ემუდარება ჰორაციოს, დარჩეს ცოცხალი და საჯაროდ მოყვეს ყოველივე სიმართლით, ისე, როგორც სინამდვილეში იყო, და არა როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს.

სათაგურის სცენით დაფეთებული კლავდიუსი განმარტოებისთანავე ცდილობს ილოცოს და მოინანიოს. ის აცნობიერებს, რომ ინდულგენციით ვერ გამოისყიდის დანაშაულს, ანუ კლავდიუსი უარყოფს კათოლიკურ ხედვას და აღიარებს, რომ ზეცაში ცბიერებას არ აქვს ადგილი და შესაბამისად, იქ ვერაფერი დაიფარება, სიმართლე გამჟღავნდება. ის არც პროტესტანტულად ფიქრობს აქ, რადგან მისთვის ამ მომენტში მთავარია სიმართლე და არა სუბიექტური პოზიციით დაპირისპირება სიმართლესთან თუ უსამართლობასთან. ამ მონოლოგის დროს იგი აღიარებს გულწრფელი სინანულის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საჭიროებას, რაც ასევე უფრო მართლმადიდებლურ ხედვას შეესაბამება, რადგან სინანულსა და ცოდვების აღიარებას სწორედ მართლმადიდებლობა ანიჭებს სასიცოცხლო მნიშვნელობას, ხოლო პროტესტანტიზმი საერთოდ უარყოფს აღსარების საიდუმლოს. ამრიგად, როცა კლავდიუსში გამოსწორების მცირე იმპულსი ჩნდება და ის სულიერ გამოსავალს ეძებს, მისი ფიქრები უფრო მართლმადიდებლური ხდება.

მესაფლავების სცენაში შექსპირი თავის პერსონაჟებთან (ჰამლეტთან და ჰორაციოსთან) ერთად ინტუიტურად მართლმადიდებლური აზროვნებისკენ იხრება. იგი განაჩიქებს მიწიერ ძალაუფლებას და მიანიშნებს იმაზე, რომ სასაფლაო ყველას ათანასწორებს: მეფეცა და გლახაკიც საფლავში ერთნაირად გამოიყურება, მათ ძვლებსა და თავის ქალებს ერთმანეთისგან ვეღარ განარჩევ. ეს პოზიცია სულიერად უპირისპირდება პაპისტური რომის რელიგიური და პოლიტიკური ძალაუფლების მოყვარეობას, და სიმბოლურად ეხმიანება მართლმადიდებელი საპატრიარქოების იერარქიულ თანასწორობას. შექსპირი აქ არც პროტესტანტია, რადგან სწორედ ამ ეპიზოდში დაკნინებულია პროტესტანტული სუბიექტივიზმი და თვალთა გასწორებული ობიექტურ სინამდვილესთან, რომ სიკვდილი ერთნაირად ადუმებს მემამულესაც, სამართალზე მოკამათე ვეჟილსაც და პოლიტიკოსსაც, რომელიც ჰამლეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის დროზე ღმერთთან გაბჭობასაც არ მოერიდებოდა. ამ სცენაში ჰამლეტი, ვიტენბერგის უკვე ყოფილი სტუდენტი, პროტესტანტულ ხედვასთან ერთად, ფაქტობრივად,

ასამარებს ადამიანის ჰუმანისტურ განდიდებას, დასცქერის რა ადამიანისთვის გათხრილ სამარეს. ჰამლეტის პირით აქ შექსპირი აშკარად მიანიშნებს, რომ უზენაესი შემოქმედის გარეშე ადამიანი თავისთავად არარაობაა, გინდ იმპერატორი იყოს და გინდ რომის პაპი.

შექსპირისა და მისი პიესის პროტაგონისტის დამოკიდებულება სიმართლისადმი სწორედაც რომ მართლმადიდებლურ სწავლებას ეხმიანება, სადაც მთავარია სიმართლის რწმენა, ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება და სწორად აღქმა. მართლმადიდებლობისთვის სულიერი სიკვდილის ტოლფასია ჭეშმარიტებიდან ოდნავი გადახვევაც, ქრისტეს და მის მოციქულთა სწავლების მცირედი დამახინჯებაც, მრწამსისა და საეკლესიო დოგმატიკის შეცვლა. მისთვის სრულიად უცხოა რელიგიური გამომგონებლობა და თვითნებობა. ის დღემდე უცვლელად ინახავს საღვთო გამოცხადებაზე, წმინდა გადმოცემაზე, წმინდა წერილზე, შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და წმინდა მამათა სწავლებაზე დაფუძნებულ მოძღვრებას. მართლმადიდებელი ქრისტიანი ვერასდროს გაკადნიერდება, ქრისტეს მოძღვრება საკუთარით ჩაანაცვლოს; ღვთიური გამოცხადება, ადამიანურით შებღალოს. ნუთუ შესაძლებელია ჭეშმარიტება გუშინ სხვა ყოფილიყო, დღეს სხვა იყოს და ხვალ კიდევ სხვა? რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან ის, რაც დროსა და სივრცეში შეიძლება შეიცვალოს, ჭეშმარიტება ვერ იქნება. ჭეშმარიტება ზედროულია და ზესივრცული, ასე ვთქვათ, ზექრონოტოპულია. ჭეშმარიტების მუდმივობასა და ღვთის სიტყვის უცვლელობას ბიბლიაც ადასტურებს.⁴

რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ შემოღებულ დოგმატურ ცვლილებათა შორის, სალხინებლის იდეის შემდეგ, შექსპირის „ჰამლეტთან“ მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რომის პაპის პრიმატი და მისი რელიგიური უცდომელობის დოგმა, რაც რომის პაპს იერარქიულად ყველაზე აღმატებულად წარმოაჩენს, ხოლო მისეულ სწავლებას – ჭეშმარიტების უმთავრეს საზომად. ამით, ცხადია, უარიყოფა წმინდა გადმოცემასა და წმინდა წერილში ღვთისაგან გამოცხადებული ობიექტური ჭეშმარიტება, თვით ამ ჭეშმარიტების ძიებაც, და მას ენაცვლება პაპისტური სუბიექტივიზმი, რომის პაპისეული დოგმებისადმი ბრმა რწმენა. სწორედ ასეთ ბრმა რწმენას უპირისპირდება ჰამლეტი, როდესაც ის

⁴ უფლის სიტყვების შეუცვლელობისა და დაურღვევლობის შესახებ იხ. ლუკ. 21:33;

მწვალებლურ მოძღვრებათა დამღუპველობისა და მწვალებელთა მიერ ჭეშმარიტების დაგმობის შესახებ იხ. 2 პეტრ. 2:1-2;

წმინდა გადმოცემის დაუმახინჯებლად შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ იხ. 1 კორ. 11:2;

სახარებისეული სწავლების დამმახინჯებელთა შეჩვენების შესახებ იხ. გალ. 1:8-9;

იესო ქრისტეს მარადიული იგივეობის შესახებ იხ. ებრ. 13:8.

ბიბლიაში ჭეშმარიტების უცვლელობისა და მისი დაუმახინჯებლად გადმოცემის სასიცოცხლოდ აუცილებლობის შესახებ სწავლება, რა თქმა უნდა, აქ მოყვანილი მუხლებით არ შემოიფარგლება.

მართლმადიდებელი სარწმუნოების უცვლელობა უკავშირდება ღვთის სიტყვების შეუცვლელობას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება თავად ღმერთის უცვალელობის თვისებას.

პირდაპირ არ იღებს კათოლიკური განსაწმენდელიდან ამოსული აჩრდილის სუბიექტურ ხედვას. ამის ნაცვლად ჰამლეტი იწყებს ძიებას, რათა დაადგინოს, აჩრდილის სიტყვები შეესაბამება თუ არა სინამდვილეს.

მართალია, პროტესტანტებს არ სჯერათ პაპისტური მოძღვრებისა და დოგმების, მაგრამ მათ საკუთარი ინდივიდუალისტური სუბიექტივიზმი ახასიათებთ, ასე ვთქვათ, თავადვე არიან პატარა რომის პაპები, მისი ერთგვარი მოძელები და ამითაც აიხსნება მათი ხედვებისა და დოგმების მრავალგვარობა, ისევე როგორც მათგან ახალ-ახალი სექტების გამოყოფა-წარმოშობა. აჩრდილთან მიმართებაში ჰამლეტი არც პროტესტანტულ სუბიექტივიზმს ავლენს. პროტესტანტულ ვიტენბერგში ნასწავლი უფლისწული საკუთარ სუბიექტურ ხედვასაც არ ენდობა ბრმად. ის, საკუთარ „სიმართლეში“ დარწმუნებული პროტესტანტივით, არ ამტკიცებს, რომ აჩრდილი უეჭველად დემონია, მის საცდუნებლად მოვლენილი, და არა მისი მამის სული. ამრიგად, ჰამლეტი თავიდან არც იღებს და არც უარყოფს აჩრდილის სიტყვებს, არამედ, როგორც უკვე ითქვა, იწყებს სიმართლის ძიებას.

სათაგურის სცენის შემდეგ ირკვევა, რომ კლავდიუსმა მართლაც გამოასალმა საკუთარი ძმა სიცოცხლეს, და სავარაუდოდ, სწორედ ყურში შხამის ჩაწვეთებით, როგორც ეს აჩრდილმა აღწერა. აჩრდილის სიტყვები ჰამლეტის მამის მკვლელობასთან დაკავშირებით სიმართლე აღმოჩნდა, და ჰამლეტიც თითქოს იჯერებს მისი სიტყვების სისწორეს, რაც კათოლიკური ხედვისაკენ გადახრას უნდა მიანიშნებდეს, მაგრამ ეს მაინც ვერ ამტკიცებს იმას, რომ აჩრდილი განსაწმენდელიდან ამოსული ჰამლეტის მამის სულია. დემონურ სამყაროსაც მშვენივრად ეცოდინებოდა, რომ ჰამლეტის ბიძამ მოკლა უფლისწულის მამა და ისიც ეცოდინებოდა, თუ რა ხერხით მოკლა იგი. ამ ცოდნის გამოყენებით კი ბოროტ სულს ადვილად შეეძლო ჰამლეტის ცდუნება: თავი მოეჩვენებინა განსაწმენდელიდან ამოსულ მამის სულად და მოეყოლა სრული სიზუსტით მისი მკვლელობის შესახებ. ამიტომაც ამ საკითხის პროტესტანტული ხედვა პიესაში სრულად მაინც ვერ გამოირიცხება.⁵ თუმცა ისიც ცხადია, რომ კლავდიუსის მოკვლით, ჰამლეტი ნამდვილად თავისი მამის მკვლელზე იძიებს შურს და უდანაშაულო ადამიანს არ დასჯის. მართალია, შურისძიება ქრისტიანობას ეწინააღმდეგება, მაგრამ მეორე მხრივ, ძმისა და ღირსეული მეფის მკვლელი, მისი ტახტისა და ცოლის მიმტაცებელი, სამშობლოს მოღალატე და სისხლის შემრევი, შეთქმულებისა და ინტრიგების მხლართველი პირი დატოვო ქვეყნის სათავეში შეიძლება არანაკლები დანაშაული იყოს. ესეც ერთ-ერთი მთავარი დილემაა პიესაში.

ამრიგად, საბოლოოდ მაინც გაურკვეველი რჩება, შექსპირი პროტესტანტულ ხედვას იზიარებს, თუ კათოლიკურს. ფაქტია, რომ არც პროტესტანტულ და არც

⁵ „ჰამლეტში“ წარმოდგენილი აჩრდილის ფენომენის კვლევა კათოლიკური და პროტესტანტული ხედვების ურთიერთდაპირისპირების ფონზე მოცემულია სტივენ გრინბლატის (2013, გვ. 205-257) წიგნში *Hamlet in Purgatory*.

კათოლიკურ გზას არ მიჰყავს ჰამლეტი ჭეშმარიტებამდე. იგი კვდება, გაუგებრობა კი კვლავაც რჩება. ცოცხლად დარჩენილ ჰორაციოს შეუძლია ხალხის წინაშე რამდენადმე ნათელი მოჰფინოს იმას, თუ სინამდვილეში რა, როგორ და რატომ მოხდა, მაგრამ მის გულწრფელ მონათხრობშიც, ცხადია, პასუხი ვერ გაეცემა ყველა იმ საიდუმლოსა თუ ორაზროვნებას, რასაც მთლიანობაში ჰამლეტური პრობლემატიკა ფარავს. შექსპირსაც ურჩევნია საიდუმლოდ დარჩეს ის, რაც მართებულად ვერ აიხსნება, ვიდრე საკუთარ თუ სხვის ფანტაზიებზე დაყრდნობით მოგვცეს საეჭვო ახსნა. ამ შემთხვევაშიც შექსპირი ინტუიტურად მართლმორწმუნე პოზიციას იკავებს. სწორედ მართლმადიდებლობისთვისაა ყველაზე მეტად დამახასიათებელი ამგვარი ფრთხილი მიდგომა: ყოველივე სწორად და სიმართლით ასწავლოს, ხოლო რაც ადამიანის გონებას აღემატება, ღვთისაგან ჩვენთვის დაფარულ საიდუმლოს განაკუთვნოს, რათა აუხსნელის ახსნის ამომცდელობით არასწორ ახსნამდე არ მივიდეს. მართლმადიდებლური ხედვით, სარწმუნოებრივ საკითხებში არ იცოდე ის, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება – სრულიად ბუნებრივია, ხოლო არასწორი ცოდნა – უდავოდ მავნებელი.

ოფიციალურად პროტესტანტი შექსპირი „ჰამლეტში“ აშკარად და გაცნობიერებულად საკუთარი სამშობლოს უახლოესი ისტორიულ-რელიგიური წარსულისკენ იყურება, რომელიც კათოლიკურია; თუმცა იქნებ ის ქვეცნობიერად, სულის სიდრმეში, უფრო შორეული წარსულისკენაც იხედება, რომელიც მართლმადიდებლურია. ფაქტი კი ისაა, რომ მისი გმირი საბოლოოდ ვერც პროტესტანტულ და ვერც კათოლიკურ მოძღვრებაში ვერ პოულობს სულიერ დასაყრდენს, მართლმადიდებლობასთან უშუალო წვდომა კი შექსპირს არ აქვს და მხოლოდ გაუცნობიერებელი, ინტუიტური მართლმადიდებლური ტენდენცია საკმარისი არ არის, ჰამლეტურ გაორებას, შინაგან კრიზისს დაძლევის გზა აპოვნინოს.

აქ შესაძლოა მოგვაგონდეს ტომას ელიოტის (Eliot, 1998, გვ. 59) შეხედულება, რომ შექსპირი „ჰამლეტში“ შეეჭიდა ისეთ პრობლემას, რომელიც მის შემოქმედებით ძალებსაც კი აღემატებოდა. რა უნდა იყოს ის გამოუთქმელი საშინელება, რომლის ემოციური ხორცმესხმაც, ელიოტის აზრით, შექსპირმა ვერ მოახერხა „ჰამლეტში“? რა უნდა იყოს ჰამლეტის ტრაგიკული განცდისა და ფიქრის უმთავრესი მიზეზი? მხოლოდ ადამიანის მუხანათობის გაცნობიერება? ეს ხომ შექსპირისთვის ახალი არ იქნებოდა?! არც ჰამლეტისთვის ჩანს მთლად ახალი: „ოჰ, წინათმგრძნობო ჩემო გონებავ!“⁶ (შექსპირი, 1987, გვ. 334) – წამოიძახებს უფლისწული, როცა აჩრდილი გაუმხელს მას თავისი სიკვდილის საიდუმლოს. ჰამლეტი ხომ ამით არ კმაყოფილდება?! ის განაგრძობს სიმართლის ძიებას. აჩრდილის საიდუმლოს უტყუარობას თეატრის ძალით კი ადასტურებს, მაგრამ მისი ძიება კვლავაც გრძელდება, რადგან ის უფრო დიდსა და ღრმას ეძებს.

⁶ თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს.

მესაფლავეების სცენაში ჰამლეტი გონებით მიწას თხრის, დაფარული ჭეშმარიტების მიმართულებით, რათა მიღმიერში გაიხედოს. საგულისხმო მიგნებებიც აქვს, მაგრამ ჭეშმარიტების წვდომისთვის ეს საკმარისი არ არის. სიკვდილის წინ ჰამლეტი სწორედ ამ მიღმიერის წინაშე დგას, მაგრამ აღარაფერი შეუძლია გვითხრას, გარდა იმისა, რომ „დანარჩენი სიჩუმეა“. პიესის პროტაგონისტის ეს უკანასკნელი სიტყვები კვლავაც ორაზროვან მდგომარეობაში გვტოვებს. ჰამლეტმა ბოლომდე ვერ ამოთქვა თავისი შინაგანი განცდის საიდუმლო. ისევ ელიოტს (2017) თუ დავესხებით, აქ „ჩვენ იმასაც უნდა მივხვდეთ, რასაც თვითონ შექსპირი ვერ ხვდებოდა“⁷ (გვ. 99). ერთი რამ კი აშკარაა: ამ ბოლო სიტყვების წარმოთქმისთანავე, ჰამლეტი კვდება და სწორედ მიღმიერში გადის, სადაც მისთვის უნდა გაცხადდეს ჭეშმარიტება, რაც მოიცავს მისი სულის საიდუმლოს გახსნასაც და მისი ტრაგიკული განცდის მიზეზთა მიზეზის გამოვლენასაც. მაგრამ ახლა, როცა მიღმიერში გასულმა ჰამლეტმა უკვე ისიც უნდა იცოდეს, რაც ამა სოფლის ფილოსოფოსთ სიზმრადაც კი არ მოლანდებიათ, უფლისწული ველარაფერს გვეუბნება მისთვის გაცხადებული ჭეშმარიტების შესახებ, რადგან ის უკვე გარდაცვლილია და მიღმიერშია. ეს მიღმიერი კი ის სამყაროა, სადაც უკვე სიცრუე შეუძლებელია; ვერც სხვას მოატყუებ, ვერც საკუთარ თავს; იქ შეუძლებელია წარმოსახვა, რადგან ყოველივე ხელის გულზეა; ყოველივე ისე ჩანს, როგორც სინამდვილეშია; იქ გაცხადებულია, რაც აქ დაფარული იყო; იქ სიმართლეს ვერ გაექცევი; იქ შეუძლებელია ურწმუნოება, წარმართობა, თუ მწვალებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: იქნებ შექსპირის შინაგანი განცდა, რომელიც მან ჰამლეტს გადასცა, მასში მართალი რწმენის გაუცნობიერებელი ნაკლებობის გამოძახილია? იქნებ ესაა ის საშინელი და გამოუთქმელი რამ, რაზეც ელიოტი ასევე გაუცნობიერებლად შენიშნავს შექსპირთან და მის ჰამლეტთან მიმართებით? მართლაც საშინელია ის უკმარისობის განცდა, რაც ადამიანის სულს აქვს ღვთის მადლისაგან განშორებისას. მართლმადიდებლობისგან მოწყვეტა დიდი ბარიერია ადამიანის სულსა და ღვთის მადლს შორის. რაც უფრო ღრმა და ინტროსპექტულია ადამიანი, მით უფრო მეტად გრძნობს ამ უკმარისობას, თუმცა კი შესაძლებელია ვერ ხვდებოდეს ამის მიზეზს. შექსპირის გენიალურობით შეიძლება აიხსნას მისთვის ამ აუხსნელი განცდის მნიშვნელოვნების გაცნობიერება და მისი ოსტატური პროეცირება ჰამლეტზე, რომლის სულისთვისაც სიმშვიდე და ნუგეში ვერც ჰუმანიზმს, ვერც პროტესტანტიზმს და ვერც კათოლიციზმს ვერ მოაქვს. მართალი რწმენის უკმარისობით კი გამრუდებულია გზა მისკენ, ვისაც ჭეშმარიტად შეეძლო შვება მოეტანა ჰამლეტისა და მისი ავტორისათვის.

⁷ თარგმანი ეკუთვნის პაატა და როსტომ ჩხეიძეებს.

ლიტერატურა:

ბიბლია. (2009). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.

ელიოტი, ტ. ს. (2017). *საღვთო ტყე*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შექსპირი, უ. (1987). *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*. ნიკო ყიასაშვილის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

Chesterton, G. K., & Ahlquist, D. (2012). *The Soul of Wit: G. K. Chesterton on William Shakespeare*. Dover Publications.

Eliot, T.S. (1998). *The Sacred Wood and Major Early Essays*. Mineola, New York: Dover Publications.

Greenblatt, S. (2013). *Hamlet in Purgatory*. Princeton: Princeton University Press.

Moss, V. (2016) *Essays on True Orthodox Christianity*. Vol. 4. Lulu Publishing.

Shakespeare, W. (2019) *Hamlet, Prince of Denmark*. Ed. Philip Edwards. 3rd ed. New Cambridge Shakespeare. Cambridge: Cambridge University Press.